აქციის წესები
(შემდგომში „აქცია“)

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. სარეკლამო კამპანია სახელწოდებით „იგრილავე'' ტარდება „სს ნიკორა ტრეიდის'' სუპერმარკეტ ნიკორას ნიშნის ქვეშ არსებულ საქართველოს ყველა მაღაზიაში. ეს კამპანია მიზნად ისახავს კამპანიის ორგანიზატორის მიერ საფირმო სახელწოდებით შპს „ნიკორა" წარმოებული და/ან გაყიდული პროდუქციის პოპულარიზაციას. აქცია ტარდება იმისათვის, რომ მიიპყროს პოტენციური მყიდველების ყურადღება შპს „ნიკორას“ სავაჭრო ნიშნის ქვეშ მყოფ პროდუქტებზე, გაზარდოს ჩართულობა, განმეორებითი შესყიდვების სტიმულირება, ბრენდის აღქმის გაუმჯობესება, გრილის სეზონთან ნიკორას ხორცპროდუქტების ასოცირება, „გრილერის“ ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა.
- 1.2. აქცია არ წარმოადგენს ლატარიას.
- 1.3. აქციის ტერიტორია არის საქართველოს ტერიტორია.
- 1.4. აქცია იმართება ექსკლუზიურად საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სს„ნიკორა ტრეიდის'' ნიკორას სუპერმარკეტის დასახელების ყველა ფილიალში.
- 1.5. აქცია იმართება მხოლოდ „ნიკორას დაგროვებითი ბარათის'' მფლობელებისათვის.
- 1.6. აქციაში მონაწილეობს შემდეგი პროდუქტები (შემდეგში - ''პროდუქტი/პროდუქტები''):
- გრილერი ოთხი ყველი-300გრ
- გრილერი ღორის ხორცით-300გრ
- გრილერი საქონლისა და ღორის ხორცით-300გრ
- გრილერი პაპრიკით-300გრ
- ტრადიციული სარდელი-440გრ
- სარდელი ბავარიული-430გრ
- სარდელი გულიანი-450გრ
- ფრანკფურტერი- 5 ცალი
- ფრანკფურტერი ყველით-5 ცალი
- ფრანკფურტერი ყველით და სოკოთი- 5 ცალი
- მიუნხენური-315გრ
- მიუნხენური-630გრ
- ქომაგი-320გრ
- ქომაგი-640გრ

- 2.1. მონაწილე - ფიზიკური პირი, წინამდებარე დებულების მე-4 მუხლით, განსაზღვრული მომხმარებელი, რომელიც ფლობს „სს ნიკორა ტრეიდის'' დაგროვებით ბარათს.
- 3. აქციის ორგანიზატორი და პარტნიორები
- 3.1. აქციის ორგანიზატორია შპს „ნიკორა“ (შემდგომში - „ორგანიზატორი“). მდებარეობა: საქართველო, თბილისი, ალ. მრევლიშვილის N2 საიდენტიფიკაციო ნომერი: **400132183**.
- 3.2. აქციის პარტნიორი სს „ნიკორა ტრეიდი'' ს/კ 206255808 (შემდგომში პარტნიორი).
- 3.2.1. აქციაში პარტნიორი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:
- საქართველოს ტერიტორიაზე ნიკორას სუპერმარკეტებში ფიზიკურად, ფილიალში განხორციელებულ წინამდებარე რეგლამენტის 1.6 პუნქტით განხორციელებული პროდუქტის/პროდუქტების ისეთ შენაძენებზე ინფორმაციის შეგროვება, რომლის შეძენის პროცესშიც გატარებულია სს ''ნიკორა ტრეიდის''დაგროვებითი ბარათი. აუცილებელია სს

“ნიკორა ტრეიდის” დაგროვებითი ბარათის გატარების შესახებ ინფორმაცია დაფიქსირებული იყოს ჩეკში.

- **მონაცემების დამუშავება და მიწოდება.** ინფორმაციას პარტნიორი ორგანიზატორს აწვდის დაშიფრული ფორმით, შემდეგი ფორმატით: პერიოდი, მომხმარებელი (პერსონალური მონაცემების გარეშე), ნიკორას დაგროვებითი ბარათით შეძენილი პროდუქტის რაოდენობა.
- მას შემდეგ რაც პარტნიორი მიაწვდის ორგანიზატორს ტოპ 5 მომხმარებლის შესახებ ინფორმაციას და ორგანიზატორი გამოავლენს გამარჯვების კანდიდატებს, გამარჯვების კანდიდატთან დაკავშირებას და ინფორმაციის მიწოდებას (9.1 პუნქტით გათვალისწინებული წესებით) მის სტატუსთან დაკავშირებით ახორციელებს ორგანიზატორი
- ორგანიზატორი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:
- გამარჯვებულებთან კომუნიკაცია და პრიზების გადაცემა;
- ჩატარებული აქციისთვის გამარჯვებულების დოკუმენტაციის მომზადება;
- გადასახადის გადახდა ფიზიკური პირების შემოსავლებიდან გამომდინარე პრიზებთან მიმართებაში.

- 4. აქციის მონაწილეები
- 4.1. აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ,,სს ნიკორა ტრეიდის'' დაგროვებითი ბარათის მფლობელ ქმედუნარიან პირებს - 18 წელს მიღწეულ და საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, აგრეთვე ხელშეკრულებითა და საემიგრაციო ვიზის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სრულწლოვან მოქალაქეებს. (D1).
- 4.2. აქციაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ორგანიზატორის/ პარტნიორების თანამშრომლებს; იმ ორგანიზაციის თანამშრომლებს, რომლებსაც ორგანიზატორი/ პარტნიორი ასაქმებდნენ აქციაში (მათ შორის, სარეკლამო სააგენტო), ასევე იმ პირებს, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ აქციაში, და პირები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ 4.1 პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს.
- 5. აქციის პირობები
- 5.1. აქციის პერიოდია 2026 წლის 24 აგვისტოს 00:00:01 საათიდან (თბილისის დროით) 2026 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით- 23:59:59 საათამდე (თბილისის დროით). ამ წესებში მითითებული ყველა ვადა გამოითვლება თბილისის დროის მიხედვით.
- 5.2. გამარჯვებულების გამოვლენის ვადა: კამპანიის გამარჯვებული გამოვლენის ვადაა გამარჯვებულის გამოვლენიდან ერთი კვირის პერიოდში.
- 5.3. გამარჯვებულებისთვის პრიზების გადაცემის პერიოდი: 2კვირა გამოვლენიდან.
- 5.4. აქცია გრძელდება -2- კვირა. (აქციის გაგრძელების შემთხვევაში ინფორმაცია აისახება საიტზე)
- 6. სარეკლამო საპრიზო ფონდი
- 6.1. აქციის საპრიზო ფონდი იქმნება ორგანიზატორის ხარჯზე და შედგება შემდეგი პრიზებისაგან (შემდგომში ,,პრიზები''):
- პრიზის მოსაგებად შეძენილი პროდუქტი/პროდუქტები უნდა დაგროვდეს მთლიანი აქციის პერიოდში. ერთი ბილეთის ეკვივალენტია წინამდებარე აქციის წესების 1.6 პუნქტით გათვალისწინებული 1 ცალი პროდუქტი. ლიდერბორდი5 გამარჯვებულს გამოავლენს და მათ გადაეცემათ შემდეგი პრიზი:
- **მთავარი პრიზები:**

- კამპანიის გამარჯვებულები გამოვლინდება მთლიანი გათამაშების განმავლობაში დაგროვილი/შეძენილი პროდუქტი/პროდუქტების რაოდენობის მიხედვით და ტოპ 5 მომხმარებელს საჩუქრად გადაეცემა:
- გრილი შემდეგი მახასიათებლებით:
- ბრენდი-Zwilling
- ფორმა-მრგვალი
- ფერი-შავი
- მასალა-პლასტმასი
- ზომები- 34.7x29x30
- მოცულობა-4ლ
- მახასიათებლები:
- უზრუნველყოფს შეწვას, მზადებასა და ცხობას
- აქვს სხვადასხვა კერძის მზადების 6 პროგრამა- კარტოფილი ფრი, ქათმის ხორცი, კრევეტები, თევზი, პიცა და ნამცხვარი
- აქვს LED სენსორული ეკრანი
- ტევადია -აქვს 4ლ მოცულობა
- შესაძლებელია ტემპერატურის და დროის ინდივიდუალური შერჩევა
- ტემპერატურა რეგულირდება 80-200 გრადუსის მასშტაბით
- ხასიათდება პრაქტიკულობით და ხანგრძლივი გამძლეობით
- აერო გრილის კალათი და გრილი გამოიყენება ჭურჭლის სარეცხ მანქანაში
- დეტალები:
- მასალა: პლასტმასი
- სიგრძე-34.7სმ
- სიგანე: 29სმ
- სიმაღლე: 30სმ
- მოცულობა: 4ლ
- კალათის ზომები გრილთან ერთად: 21X21X8 სმ
- სიმძლავრე :1400ვატი
- ძაბვა: 220-240 ვოლტი

- 6.2. გათამაშება არ ითვალისწინებს პრიზების ფულადი ეკვივალენტების გადახდას და შეუძლებელია პრიზების გადაცვლა.

- **7. აქციაში მონაწილეობის წესები**
- 7.1. იმისათვის, რომ პირმა მიიღის აქციაში მოინაწილეობა ის უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე რეგლამენტის მე-4 მუხლის მოთხოვნებს.
- 7.1.1. **1 (ერთი) ბილეთის მოპოვება შესაძლებელია** წინამდებარე აქციის წესების 1.6 პუნქტით გათვალისწინებული 1 ცალი პროდუქტის შეძენით და **„ნიკორას დაგროვებითი ბარათის" გატარებით .**
- 7.1.2. აქციის მონაწილე აუცილებლად უნდა ფლობდეს საკუთარ სახელსა და გვარზე რეგისტრირებულ „ნიკორას დაგროვებით ბარათს" და პროდუქტი უნდა შეიძინოს მხოლოდ „სუპერმარკეტ ნიკორას" საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ფილიალში.
- **„ნიკორას დაგროვებითი ბარათი"** (შემდგომში ბარათი), არის სს „ნიკორა ტრეიდი"-ს

მიერ მომხმარებლისთვის შექმნილი მარკეტინგული პროდუქტი. ბარათის მფლობელის მიერ სს ,,ნიკორა ტრეიდი''-ს სუპერმარკეტებში, კერძოდ ,,ნიკორა ტრეიდის" ბრენდის ქვეშ მოქმედ სუპერმარკეტებში (,,ნიკორა სუპერმარკეტი") გაკეთებული შენაძენები დადგენილი წესით აღირიცხება ბარათის მეშვეობით და გროვდება ქულები.

- ბარათზე დაგროვილი ქულების ექვივალენტი თანხით, ბარათის მფლობელს უფლება აქვს აირჩიოს შესაბამისი ღირებულების ნებისმიერი პროდუქტი შეუზღუდავად.
- 7.1.3. იმ შემთხვევაში, თუ სს ,,ნიკორა ტრეიდი'' არ ფლობს გამარჯვებულის საკონტაქტო ინფორმაციას, პირის ნომერი არ ფიქსირდება პროგრამაში და ვერ მოხდა დაკავშირება, საჩუქრის გადაცემას ვერ უზრუნველყოფს ორგანიზატორი. ამ შემთხვევაში გამარჯვებული იქნება ლიდერბორდიდან არსებული შემდეგი 5 მონაწილე (ყოველი შემდეგი მონაწილე).

- 7.1.4. აქციასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხზე ინფორმაციის მისაღებად ბარათის მფლობელს შეუძლია გაეცნოს წესებს შემდეგ მისამარათებზე: - https://nikora.nikoraltd.ge/news

- 7.1.5. აქციის მონაწილემ პროდუქტის ყიდვისას **აუცილებლად** უნდა გაატაროს თავის სახელზე არსებული ,,ნიკორას დაგროვებითი ბარათი''.

- 7.2. აქციების რეიტინგი შედგენილია პარტნიორის მიერ ,,ნიკორას დაგროვებით ბარათზე'' გატარებული პროდუქტის ყიდვის შედეგად. ,,ნიკორას დაგროვებით ბარათით'' ნაყიდი 1 ცალი წინამდებარე აქციის წესების 1.6. პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტის შეფუთვა არის 1 ბილეთი.
- 7.3. აქციაში (კამპანიაში) ჩართვით მონაწილე აცხადებს, რომ იცნობს და თანახმაა ამ წესებსა და პირობებზე.
- **8. პრიზიორების დადგენა**

- 8.1. გათამაშების **მთავარი პრიზის** მფლობელები გამოვლინდებიან კამპანიის ბოლოს, ბილეთების საერთო რაოდენობის მიხედვით.
- 8.2. გათამაშების გამარჯვებული იქნება ის 5 პირი ვინც შეიძინა ყველაზე მეტი რაოდენობის პროდუქტი შესაბამისი პერიოდის ფარგლებში და ამავდროულად, სს "ნიკორა ტრეიდი" ფლობს მის საკონტაქტო ნომერს, და სს "ნიკორა ტრეიდის" დაკავშირებისას ის თანხმობას აცხადებს მისი მონაცემების ორგანიზატორისა და ორგანიზატორის პარტნიორისთვის გადაცემაზე.
- 8.4. გამარჯვებულის გამოვლენისათვის აუცილებელია პარტნიორი ფლობდეს გამარჯვების კანდიდატის საკონტაქტო ნომერს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამარჯვების კანდიდატი გამარჯვებული არ არის. პარტნიორი შეარჩევს გამარჯვების ახალ კანდიდატს.
- **9. პრიზის გაცემის წესები**
- პარტნიორის მიერ 3.2.1 პუნქტით განსაზღვრული წესით და ფორმით ინფორმაციის მიწოდების შემდეგ პარტნიორი შერჩეული გამარჯვების კანდიდატების შესახებ აწვდის ინფორმაციას ორგანიზატორს. პირველად კავშირს გამარჯვებულთან ამყარებს პარტნიორი. ინფორმაციის მიღების შემდგომ ორგანიზატორი ახლიდან უკავშირდება გაამრჯვებულ ხუთ მომხმარებელს და იღებს მათგან ნებართვას ორგანიზატორის მიერ შპს ,,ნიკორა" ს/კ 400132183 (რომელიც უშუალოდ გადასცემს პრიზს) მათი პირადი მონაცემების მიწოდების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ პარტნიორის მიერ შერჩეული პირ(ებ)ი უარს აცხადებს ორგანიზატორისთვის ინფორმაციის გადაცემაზე, ჩაითვლება/იგულისხმება, რომ ის უარს აცხადებს პრიზის მიღებასა და

გამარჯვებულად გამოცხადებაზე. ეს ნიშნავს, რომ პარტნიორი არჩევს ახალ პირს და მის მონაცემებს აწვდის ორგანიზატორს, ასე გრძელდება მანამ სანამ, გათამაშებაში მონაწილე არ განაცხადებს თანხმობას ორგანიზატორისათვის მისი პერსონალური მონაცემების გადაცემის შესახებ, როგორიც არის: საკონტაქტო ნომერი, პირადი ნომერი, სახელი და გვარი. გამარჯვების შემთხვევაში გამარჯვებულს ეცნობება ოპერატორის მიერ ,,ნიკორა სუპერმარკეტის" დაგროვებითი ბარათის აღებისას მითითებულ ტელეფონის ნომერზე. იმ შემთხვევაში, თუ ,,ნიკორას" დაგროვებითი ბარათის აღებისას მითითებული ტელეფონის ნომერი არასწორია და ვერ ხერხდება დაკავშირება გაამრჯვებულთან, პარტნიორი (სს ნიკორა ,,ტრეიდი") არჩევს სხვა გაამრჯვების კანდიდანტს.

- 9.2. 5.4 პუნქტში მითითებულ პერიოდში ამ წესების მიხედვით, აქციის მონაწილე იღებს პრიზებს შემდეგი ფორმით:
- 9.2.1. პრიზების მისაღებად, გამარჯვებული ვალდებულებას იღებს 1 კვირის განმავლობაში ორგანიზატორს მიაწოდოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:
- - დაადასტუროს მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც მითითებული იყო ,,ნიკორას'' დაგროვებითი ბარათის აღებისას და რომლითაც ოპერატორს შეუძლია დაუკავშირდეს გამარჯვებულს.
- - საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის სკანირებული ასლი/ფოტო;
- - პრიზის მიღება-გადაცემის აქტი, ხელმოწერილი გამარჯვებულის მიერ;
- - სხვა ინფორმაცია აქციის ოპერატორების მოთხოვნით, რომელიც აუცილებელია პრიზების გამარჯვებულისთვის გადაცემისთვის.
- 9.3. ფინალური პრიზის გადაცემას ახორციელებს ამ წესების 5.4 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში.
- 9.4. ორგანიზატორი მოქმედებს როგორც საგადასახადო აგენტი პრიზებთან დაკავშირებით პირადი საშემოსავლო გადასახადის გადახდისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და იხდის ყველა გადასახადს და მოსაკრებელს პრიზებისთვის.
- 9.5. თუ გამარჯვებულმა პრიზის მიწოდებისთვის მიაწოდა არასწორი მონაცემები ან ინფორმაცია არ იყო მოწოდებული 1 კვირის განმავლობაში, ორგანიზატორი და პარტნიორი იტოვებენ უფლებას არ მიაწოდონ პრიზი გამარჯვებულს და განკარგონ იგი საკუთარი შეხედულებისამებრ.
- **10. პერსონალური მონაცემები**
- 10.1. აქციაში მონაწილე პირებმა (შემდგომში - ,,პერსონალურ მონაცემთა სუბიექტები")
- პერსონალურ მონაცემებს აგროვებს პარტნიორი და დაშიფრული სახით, ისე რომ შესაძლებელი არ იყოს მომხმარებლის იდენტიფიცირება გადასცემს ორგანიზატორს.
- 10.2. პერსონალური მონაცემების შეგროვების მიზნები:
- • პარტნიორის მიერ ამ წინამდებარე აქციის წესების საფუძველზე პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მხოლოდ მონაწილეებისთვის პრიზების მიღების მიზნით და მის შეგროვებაზე პასუხისმგებელია ორგანიზატორი.
- 10.3 უშულოდ გამარჯვებულთან პირველ კომუნიკაციას გააკეთებს პარტნიორის თანამშრომელი, აცნობებს, რომ გათამაშებაში გაიმარჯვა და სატელეფონო საუბარში (რომელიც იწერება) აიღებს ნებართვას რომ ორგანიზატორის წარმომადგენელთან მოხდეს მისი საკონტაქტოს ინფორმაციის გაზიარება პრიზის გადაცემისათვის. გამარჯვებული მომხმარებლის მიერ თანხმობის გაცხადების შემთხვევაში, ასეთი გადაცემული პერსონალური მონაცემები შეიძლება განხორციელდეს ორგანიზატორის, ასევე მათ მიერ უფლებამოსილი

პირების მიერ მონაცემთა დამუშავების ავტომატური ინსტრუმენტების გამოყენებით.

- 10.4. პერსონალური მონაცემების დამუშავების ვადა: აქციის პერიოდი. და აქციის დასრულებიდან მომდევნო ერთი კვირა
- 10.5პერსონალურ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ისარგებლოს საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' III თავით გათვალისიწინებული უფლებებით..
- 10.6. აქციის ორგანიზატორი და პარტნიორი უზრუნველყოფენ ზომებს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ამ პერიოდში. მათი დამუშავება „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" შესაბამისად.
- და სხვა მესამე მხარეები, რომლებიც ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს აქციის პარტნიორის სახელით, რომლებსაც აქვთ წვდომა პერსონალურ მონაცემებზე, უზრუნველყოფენ ზომებს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ამ პერიოდში. მათი დამუშავება „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" შესაბამისად.
- 10.7. პერსონალური მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს გააუქმოს თანხმობა აქციის პერსონალური მონაცემების ოპერატორთან ელფოსტის გაგზავნით. შეტყობინებაში მითითებული
- უნდა იყოს აქციის დასახელება, მისი გვარი, სახელი, პირადი ნომერი, რაც მონაწილემ მიაწოდა აქციაში მონაწილეობის შესახებ მის სარეგისტრაციო მონაცემებს შორის.